16/02/2024

MES 2 24 0000171075

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 09.02.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:20
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი (I, II, III, V, VI, VII, VIII საკითხები)
სხდომის მდივანი: ნინო ღაღანიძე (IV საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
7. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
10. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
11. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნინო ღაღანიძე -** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ლაშა ჩხარტიშვილი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
17. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები (სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **თამთა ანთიძე,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
2. **ლალი ოდიშვილი,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

1. თამარ ხუნდაძე - რესტავრაციის, ხელოვნების ისტრიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
2. ანა კლდიაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
3. კახა ხიმშიაშვილი - არქიტექტური ს რესტავრაციის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. იაგო კაჭრკაჭიშვილი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
2. სალომე დუნდუა -ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი
3. თამარ დოლბაია - ფაკულტეტის დეკანი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

1. გიორგი მირიანაშვილი - რექტორის მოადგილე სტუდენტთა მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების საკითხებში;
2. თეა სამჭკუაშვილი - ,,საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

1. თეონა ხუფენია - რექტორი;
2. ლევან მაკარაძე - ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამის ხელმძღვანელი;
3. ნინო მილაშვილი -ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამის თანახელმძღვანელი;
4. ნატო ალავიძე - ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ლელა თურმანიძე - პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;
2. ნანი მამულაძე - ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. მადონა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,პროფესიული და უწყვეტი განათლება“ ხელმძღვანელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. თეა კორძაძე - სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. მირანდა მნაცაკანიანი -ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. აკაკი გირგვლიანი - პროფესორი, „კომპიუტერული მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

1. ნინო ხაბეიშვილი - I, II საკითხი
2. თამარ გვიანიშვილი - I, II საკითხი
3. ელენე გავაშელიშვილი - III საკითხი
4. ილია ბოცვაძე - III საკითხი
5. ნინო ფარსადანიშვილი - IV საკითხი
6. ნინო დოლიძე - IV საკითხი

7. ანა მიხელიძე - IV საკითხი
8. გიორგი მელაშვილი - V საკითხი
9. ია ფანცულაია - VI საკითხი
10. ქეთევან აფთარაშვილი - VII საკითხი
11. მიხეილ რუხაია - VIII საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოსსხდომადაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ვეტერინარიის” ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის “ვეტერინარიის” ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, საბჭოს წევრებს მიმართა წინადადებით, რათა ერთად მომხდარიყო 1-ლი და მე-2 საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ **საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - "არქიტექტურის რესტავრაცია"

1. **საფეხური** - ბაკალავრიატი
2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - არქიტექტურის რესტავრაციის ბაკალავრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0739 არქიტექტურა და მშენებლობა – არაკლასიფიცირებული

2. მეორე საკითხი: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ **სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - "არქიტექტურის რესტავრაცია"

1. **საფეხური** - მაგისტრატურა
2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - არქიტექტურის რესტავრაციის მაგისტრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0739 არქიტექტურა და მშენებლობა –არაკლასიფიცირებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის წარმომადგენელმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელთან კონსულტაციის შედეგად, დააყენა ,,არქიტექტურის რესტავრაციის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირების ცვლილების საკითხი:
კვალიფიკაციების ფორმულირება - ,,ბაკალავრი არქიტექტურის რესტავრაციაში" და ,,მაგისტრი არქიტექტურის რესტავრაციაში" დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- არქიტექტურის რესტავრაციის ბაკალავრი
- არქიტექტურის რესტავრაციის მაგისტრი

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებს. მან აღნიშნა, რომ ,,არქიტექტურის დიზაინის" ორივე პროგრამაზე ადრეც განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი. აღნიშნული წარმოების ფარგლებში, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები და საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, დამატებით განსაზღვრა ორი რეკომენდაცია. დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. დაწესებულებამ დათქმულ ვადაში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ

დაწესებულებამ ორივე პროგრამასთან მიმართებით, ძირითადად, გაიზიარა და შეასრულა რეკომენდაციები, ასევე, გაიზიარა და შეასრულა დასკვნაში მოცემული რჩევები. თუმცა, „არქიტექტურის რესტავრაციის“ საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოზე განსახილველად წარმოდგენილი დასკვნა მაინც მოიცავს ორ რეკომენდაციას 1.5 კომპონენტთან მიმართებით.
წინა წარმოების ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია სასწავლო კურსების სილაბუსებში დაშვების წინაპირობების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კურიკულუმებისა და სილაბუსების შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ უმეტეს შემთხვევაში გათვალისწინებულია რეკომენდაცია, ინფორმაცია არის დაზუსტებული, თუმცა, რიგ შემთხვევებში მაინც გხვდება ისეთი სასწავლო კურსები, სადაც დაშვების წინაპირობა ისეთი საგანია, რომელიც ან იმავე სემესტრში ისწავლება, რომელშიც თავად ეს საგანი, ან მომდევნო სემესტრში. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა რეკომენდაციის გაცემა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რათა მოხდეს ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორება.
წინა წარმოების ფარგლებში, საბჭოს მიერ დამატებით გაცემული ორი რეკომენდაციიდან, ერთ-ერთი ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით ხარვეზების გასწორების საკითხს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის კურიკულუმისა და ანგარიშის შესწავლამ ცხადყო, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ცვლილება არ მომხდარა, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა რეკომენდაციად. ორივე რეკომენდაცია მიემართება 1.5 კომპონენტს, რომელიც შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მთლიანი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, ყველა შესაფასებელი სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
რაც შეეხება "არქიტექტურის რესტავრაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, მასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ აქვს. ყველა შესაფასებელი სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.“ მხოლოდ პროგრამის განვითარებისკენ მიმართული რამდენიმე რჩევა დაფიქსირდა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, არსებობს სრული მზაობა, რათა მოხდეს პროგრამის განვითარებისთვის გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება.
ორივე პროგრამაზე დაწესებულებას რეკომენდაციების შესრულებისთვის ჰქონდა 60 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაშვების წინაპირობების შესახებ აღნიშნა, წინაპირობები დეტალურად გაიწერა სასწავლო გეგმაში და გასწორდა კიდეც, მაგრამ კიდევ ერთხელ გადაიხედება სილაბუსები და დარჩენილი ხარვეზები გამოსწორდება. საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საკითხთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის შესახებ შექმნილ ცალკე დოკუმენტში მოხდა შესაბამისი შესწორების შეტანა. რაზეც ექსპერტმა ნინო ხაბეიშვილმა მიუგო, რომ რეკომენდაცია ითვალისწინებდა ცვლილების შეტანას მხოლოდ კურიკულუმში, შესაბამისი გვერდის დაკონკრეტებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებული ხარვეზი რომელ დოკუმენტში იქნა დაფიქსირებული.
ექსპერტმა განმარტა, რომ კურიკულუმში არსებობდა მსგავსი ჩანაწერი, რომ საბაკალავრო ნაშრომების დაცვა ხდება მეორე სემესტრში და ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას უნდა დაეზუსტებინა, რომ მეოთხე კურსის მეორე სემესტრი იგულისხმება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:21
დასრულების დრო: 14:24

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ **საბაკალავრო** ს აგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ **საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ **სამაგისტო** საგა ნმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,არქიტექტურის რესტავრაციის“ **სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სოციოლოგია

1. **საფეხური** - მაგისტრატურა

2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - სოციოლოგიის მაგისტრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
არა კი
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
არა კი

სხდომას შემოუერთდნენ ნინო ღაღანიძე და ნინო ჭალაგანიძე 14:25 საათზე.
თვითაცილება განაცხადეს მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელენე გავაშელიშვილმა ისაუბრა სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ 2022 წელს პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით. დაწესებულების მიერ დათქმულ ვადაში წარმოდგენილი ანგარიშის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საჯარო განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ შეუსრულებელი დარჩა 5 რეკომენდაცია, რომელთა შესრულებისთვის განესაზღვრა 60 დღიანი ვადა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ რეკომენდაციას, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე გამოთქვა მზაობა, სრულად გაეთვალისწინებინა აღნიშნული რეკომენდაციები. პირველი ორი მათგანის შესრულება დაიგეგმა საბოლოოდ და გაიწერა შესრულების თარიღი. მესამე რეკომენდაცია შესრულებულია ინსტიტუციის მიერ. მეოთხე რეკომენდაციის შესახებ დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა შესრულებისთვის, მაგრამ, ვინაიდან მისი შესრულება საუნივერსიტეტო პროცედურების გავლასთან არის დაკავშირებული კურიკულუმში არ ასახულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, იაგო კაჭკაჭიშვილმა აღნიშნა, რომ შეუსრულებელი რეკომენდაციებიდან არცერთს შინაარსობრივად არ ეთანხმება. ამის შესახებ არგუმენტირებული ანგარიში წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს, მაგრამ რეკომენდაციები მაინც ძალაში დარჩა დასაბუთების გარეშე. წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციებს მხოლოდ პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე.

წარმომადგენელმა ისაუბრა ერთ-ერთი რეკომენდაციის შესახებ, რომელის შესრულებაც საუნივერსიტეტო პროცედურების გავლასთანაა დაკავშირებული. საუბარია თვისებრივი და რაოდენობრი კვლევის მონაცემთა დამუშავებისთვის არსებული ძვირადღირებული პროგრამების შესახებ. წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას აქვს რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა დამუშავებისთვის შესაბამისი პროგრამა, მაგრამ არ აქვს თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზისთვის ლიცენზირებული პროგრამა. მის შესაძენად გატარდა შესაბამისი ღონისძიებები, თუმცა შესყიდვის პროცესში დაშვებული ხარვეზის გამო ამ ეტაპზე ჯერჯერობით პროგრამა შეძენილი არ არის. ამიტომ, იმისათვის რომ სწავლის პროცესს ხელი არ შეეშალოს, დაწესებულებას უწევს პროგრამების არალიცენზირებული ვერსიების გამოყენება. თუმცა, აქვთ ლიცენზირებული პროგრამის შეძენის მოლოდინი.
ასევე, დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო სამაგისტრო ნაშრომის საკითხს. მისი მოსაზრებით, რაოდენობრივი კვლევების მეთოდის გამოყენებით სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და კვლევა მასობრივ გამოკითხვის განხორციელებასთანაა დაკავშირებული, რაც მოითხოვს დიდ შრომასა და ადამიანურ რესურსს, შესაბამისად ამისათვის ფაკულტეტის საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ ორ სტუდენტს მიეცეს ნება იმუშაოს ერთ სამაგისტრო ნაშრომზე რაოდენობრივი კვლევის განხორციელების შემთხვევაში. ამისთვის დეტალურად გაიწერა პროცედურა, ნაშრომი უნდა იყოს მოცულობით უფრო დიდი, გაიწერა შეფასების კრიტერიუმები, თუმცა, ექსპერტთა პოზიციით ერთ ნაშრომზე მხოლოდ ერთმა სტუდენტმა უნდა იმუშაოს. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, აღნიშნული საგრძნობლად შეამცირებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პრაქტიკას. დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ გამოინახება შესაბამისი გზა აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად.
ასევე, დაწესებულების წარმომადგენელი შეეხო შეფასების კომპონენტების საკითხს. რეკომენდაციის მიხედვით, შეფასების კომპონენტებში ქულებს შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს სამს, რომლის მიზეზიც გაუგებარია ინსტიტუციისთვის, მაგრამ რეკომენდაცია მაინც შესრულდა არსებული მოთხოვნების მიხედვით. საუბრის დასასრულს, დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ეთანხმება ყველა რეკომენდაციას.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის დაეთანხმა წინა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და მოხდა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება. ერთ-ერთი არჩევითი საგანი რეკომენდაციის გათვალისწინებით გახდა სავალდებულო, შესაბამისად, ჩასწორდა კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების რუკა. ყველა დოკუმენტი არის მზად და შესაძლებელია მათი წარმოდგენა. შეცვლილი პროგრამები და სილაბუსები გაზაფხულის სემესტრიდან შევა სასწავლო გეგმაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე დუნდუამ ისაუბრა თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზისთვის ლიცენზირებული პროგრამის შესყიდვასთან დაკავშირებით და საბჭოს განუცხადა, რომ პროცესის შეფერხების მიუხედავად, საკითხი დაძრულია და აუცილებლად მოხდება პროგრამის შეძენა.

ექსპერტი ილია ბოცვაძის განმარტებით, ამ პროგრამასთან დაკავშირებით განხილვა დიდი ხანია მიმდინარეობს, ჯერ კიდევ აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა ყველა საკითხი, მაგრამ დაწესებულებასთან კონსენსუსის მიღწევა გართულდა. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კანონის მოთხოვნაა, რომ ნაშრომი ინდივიდუალურად უნდა მომზადდეს, გარდა ამისა, ეს საკითხი დაკავშირებულია მრავალ პრობლემასთან, მაგალითად: ორი სტუდენტის მიერ ერთი ნაშრომის მომზადებისას როგორ უნდა შეფასდნენ სტუდენტები და სხვ. გარდა ამისა, ექსპერტის განმარტებით, მრავალი თვისებრივი თუ რაოდენობრივი კვლევა ტარდება ერთი სტუდენტის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს დამატებითი პოზიცია არ დაუფიქსირებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 14:57

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 24 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს ვადა - 60 კალენდარული დღე - დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო (1.4 კომპონენტი);
- რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo, MAXQDA ან სხვ) სავალდებულო კურსის დამატება (1.4 კომპონენტი);
- რეკომენდებულია, სილაბუსებში მოცემული შეფასების კომპონენტების დაზუსტება. კერძოდ, ქულებს შორის არსებული დიაპაზონის შემცირება ან განმარტება, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში მინიმალურს (2.4 კომპონენტი););
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითოეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში და აღნიშნული საკითხი თანხვედრაში მოვიდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონთან (3.2 კომპონენტი).

4. მეოთხე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - "საჯარო მმართველობა და პოლიტიკა"

1. **საფეხური** - ბაკალავრიატი

2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - საჯარო მმართველობის ბაკალავრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა რატი რატიანმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა სუდენტის აქტიური სტატუსის ქონა დაწესებულებ აში.
სხდომა დატოვა გურანდა ჭელიძემ 15:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ნინო ფარსადანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა 2022 წლის ზაფხულში. საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამას უნდა წარმოედგინა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ და ამავდროულად უნდა მომხდარიყო მონიტორინგის განხორციელება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასება განხორციელდა გასული წლის ზაფხულში, რის შედეგადაც საბჭომ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ანგარიში დაწესებულების მხრიდან ყველა რეკომენდაციის სრულად გათვალისწინების თაობაზე.
პროგრამის შეფასება განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი აკმაყოფილებს აკრედიტაციისთვის განსაზღვრულ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს, შესაბამისად დამატებითი რეკომენდაციები არ გაცემულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს პოზიცია არ დაუფიქსირებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:03
დასრულების დრო: 15:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, შეწყდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ვეტერინარია

1. **საფეხური** - მაგისტრატურა
2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ვეტერინარიის მაგისტრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0841 ვეტერინარია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა ერმილე მესხიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომა დატოვა ლევან ნიკოლეიშვილმა 15:15 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის

დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, გიორგი მელაშვილმა ისაუბრა პროგრამის პროგრესის შესახებ, კერძოდ, დაწესებულებამ მოიპოვა გრანტი და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური ბაზა. ასევე, პედაგოგებად ჩართეს ახალი სპეციალისტები. თუმცა აღინიშნა რამდენიმე ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც პროგრამას განვითარებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. ექსპერტმა ისაუბრა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. რეკომენდაცია ეხებოდა კადრების მდგრადობის საკითხს. ექსპერტის განცხადებით ლექტორთა უმეტესობა არის მოწვეული ლექტორი თბილისიდან, რაც, ტრანსპორტირების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ექსპერტის მოსაზრებით, შესაძლებელია ქმნიდეს სასწავლო პროცესისთვის სირთულეს. ექსპერტის მოსაზრებით, უკეთესი იქნებოდა, რომ მეტი ადგილობრივი კადრი იყოს ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართული. სამომავლოდ, უმჯობესი იქნება დოქტორანტურის საფეხურზე მოამზადონ სპეციალისტები და შემდეგ მოხდეს მათი პროგრამის განხორციელებაში ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგანს ჰყავს ლექტორი, ექსპერტის მოსაზრებით, ამგვარ პირობებში გაჭირდება სასწავლო პროცესის იდეალურად წარმართვა.
ექსპერტის თქმით, მთავარი შენიშვნა მიემართება შეუსურლებელ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა მიკრობიოლოოგიის სწავლებას. აღნიშნული საგანს სწავლობს სტუდენტი, რომელსაც ვირუსებთან და ბაქტერიებთან მანამდე შეხება არ ქონიათ. აუცილებელია, რომ ვეტერინარებს გავლილი ჰქონდეთ ყველა ტრენინგი, რათა იცოდნენ მუშაობისა და უსაფრთხოების წესები. საამისოდ აუცილებელია, რომ მათ გაიარონ მომზადება არაპათოგენურ, უსაფრთხო მიკროფლორაზე და არა განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე. ექსპერტის განმარტებით, არსებობს ძალიან პათოგენური მიკრობები, რომლებიც გადამდებობით არ გამოირჩევიან, მაგალითად, ოქროსფერი სტაფილოკოკი, სალმონელები, რომლებზეც დასაშვებია სტუდენტების მუშაობა მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ციმბირულ წყლულს, ბრუცელოზს, რასაც ითვალისწინებდა პროგრამა, არანაირად არ შეიძლება, რომ სტუდენტს შეხება ჰქონდეს ცოცხალ მიკრობთან. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული საფრთხის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ თავად დაწესებულების პერსონალისა და ქალაქის მოსახლეობასაც, ინფექციის გავრცელების ძალიან მაღალი რისკის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რექტორმა, თეონა ხუფენიამ ისაუბრა აკადემიური პერსონალის შესახებ. დაწესებულებას გამოყენებული აქვს ქვეყნის მასშტაბით ყველა შესაძლო საკადრო რესურსი პროგრამის განსახორციელებლად. მისი განმარტებით, ამ სფეროში ერთდროულად მიმდინარეობს დარგის განვითარება ეროვნულ დონეზე, სწორედ ამიტომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს შორის არსებობს კავშირი და პრაქტიკის მიმოცვლა. შესაბამისად, მისი განმარტებით, პროგრამა არ განიცდის აკადემიური პერსონალის ნაკლებობას და ერთობლივი პროგრამით ვითარდება ეროვნულ დონეზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინებს აკრედიტაციის ექსპერტის რჩევას,

პროგრამამ გაზარდოს საკუთარი საკადრო რესურსი, თუმცა, სანამ ეს მოხდება, მანამდე დაწესებულება ცდილობს გამოიყენოს ქვეყნის მასშტაბით ყველა შესაძლო რესურსი. მაგალითად, იგეგმება, ვეტერინარიის მიმართულების მეხუთე საფეხურის პროფესიული სტუდენტების მხრიდან პრაქტიკულ კომპონენტზე დაფუძნებული სწავლების დასრულების შემდეგ, სწავლის ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტორ პროგრამაზე გაგრძელება. არდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღინიშნა, რომ დაწესებულებამ მოიპოვა გრანიტი პროგრამის გასაძლიერებლად. გაუმჯობესდა მატერიალური ბაზა, ლიტერატურა. ტარტუს უნივერსიტეტთან მიმდინარეობს კონსულტაციები პროგრამის გაძლიერების მიზნით. ასევე წარმომადგენელმა ისაუბრა პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებისას საბჭოს მიერ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად საერთო პერსონალის ყოლის საკითხს. იმ მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან ერთად არაერთხელ განხორციელდა საკითხის ირგვლივ მსჯელობა. ღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გაიმართა ასევე სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, ასევე მოხდა საკითხის საპარლამენტო დონეზე განხილვა. აქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ ინიციატივას. წარდგენილია პროექტები დასაფინანსებლად, მათ შორის საუბარია ვეტერინარიის კლინიკის დაფინანსებასა და მატერიალური ბაზის გაძლიერებაზე. წარმომადგენლის განცხადებით დაწესებულება მომავალშიც განაგრძობს ვეტერინარიის დარგის მხარდასაჭერი ღონისძიებების გატარებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვეტერინარიის ინტეგრირებული პროგრამის ხელმძღვანელმა, ლევან მაკარაძემ ისაუბრა აკრედიტაციის ექსპერტის შეფასებით შეუსრულებელი რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა სტუდენტების მუშაობას განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტს, რომ რისკის შემცველია მსგავსი ლაბორატორიული საქმიანობა და ეს გამორიცხულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მსგავსი ლაბორატორიული საქმიანობა არც თავდაპირველად იყო პროგრამით გათვალისწინებული. მან განმარტა, სრულად შეიცვალა თემატიკა სავეტერინარო მიკრობიოლოგიაში და პათოგენებთან მუშაობის შესაძლებლობა ფორმალურ დონეზეც კი გამორიცხულია. შეცვლილია მიკრობებთან მუშაობის მიდგომა, კერძოდ, იქ სადაც სტუდენტებს უწევთ მიკრობებთან მუშაობა, მასალად გამოიყენება ვაქცინებიდან წინასწარ დამზადებული მიკრობები, რაც არ არის რისკის შემცველი. შინაარსობრივად დაწესებულება რეკომენდაციას სრულიად ეთანხმება.
დაწესებულების წარმომადგენლის მსჯელობის შემდეგ, ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სილაბუსებში ინსტიტუციას გამორჩა ხარვეზი, რომელიც შესაძლოა არასწორად განმარტავდეს ლაბორატორიული სამუშაოების პროცესს, რასაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი. ისი განმარტებით, ექსპერტისთვის მიწოდებულ სილაბუსებში, ლაბორატორიულ ნაწილში იყო იმგვარი ჩანაწერები, რომელიც ეჭვს ბადებდა საშიშ პათოგენებთან მუშაობასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული ხარვეზი სილაბუსებში უკვე აღმოფხვრილია, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და დაწესებულებას ნებისმიერ დროს შეუძლია ჩასწორებული სილაბუსების წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს პოზიცია არ დაუფიქსირებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:23
დასრულების დრო: 15:34

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღის თავზე მონიტორინგის განხორციელება დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების" 27[6] - ე მუხლის მე-2 [11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღის ვადაში განხორციელდეს მონიტორინგი ოქმში მოცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით.

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

1. რეკომენდირებულია უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა პროგრამის მიზნებისთვის საჭირო რესურსით, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებით;
2. რეკომენდირებულია, პრაქტიკული მეცადინეობები გახდეს უფრო შესაბამისი ადგილზე არსებულ სიტუაციასთან, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს სტუდენტების კონტაქტი განსაკუთრებით საშიშ პათოგენებთან; შეფასება რეკომენდაცია არ შესრულდა.
3. რეკომენდირებულია, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ მატერიალურ ბაზასთან;
4. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია, ინსტიტუციამ შეიმუშაოს დეტალური სამოქმედო გეგმა მატერიალურ ტექნიკური ბაზის (მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიის, პათანატომიის, ქირურგიული სამანიპულატორო ოთახი, მულაჟები, სიმულატორები, ანატომიის ატლასები, შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჩონჩხები, ცხოველების შინაგანი ორგანოების სველი პრეპარატები, სტანდარტული პათანატომიური და ჰისტოლოგიური მიკროსკოპული პრეპარატები, ქირურგიული და გინეკოლოგიური ინსტრუმენტები, ხელოვნური კანის მულიაჟები, იარაღების სასტერილიზაციო და სხვ.) განვითარების მიმართულებით.

6.მეექვსე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფარმაცია

1. **საფეხური** - ბაკალავრიატი
2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ფარმაციის ბაკალავრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0916 ფარმაცია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა ერმილე მესხიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომას შემოუერთდა თამარ სირაძე 15:35 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
განსახილველ პროგრამაზე გაცემულ იქნა 7 რეკომენდაცია, აქედან 5 შესრულებულია. ექსპერტმა ისაუბრა ამ 2 რეკომენდაციის შესახებ. პირველი მათგანი უკავშირდებოდა ლიტერატურის განახლებას სილაბუსებში. აღნიშნული დაწესებულებამ თითქმის სრულიად შეასრულა, დარჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე სილაბუსი, სადაც ძველი ლიტერატურაა მითითებული. მეორე რეკომენდაცია აკადემიურ პერსონალს შეეხო. რეკომენდაცია ითვალისწინებდა ფარმაციის მიმართულებით აფილირებული პროფესორების რაოდენობის ზრდას. უნივერსიტეტმა კუნკურსის შედეგად აიყვანა ერთი ასისტენტ-პროფესორი, მაგრამ ექსპერტის მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა ასოცირებული პროფესორის აყვანა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ კვლავ საჭიროებს პროგრამა პერსონალის დამატებას. სხდომის თავმჯდომარემ ექსპერტს შეკითხვით მიმართა, თუ რამდენი პროფესორის დამატება იქნება საკმარისი. ექსპერტის განმარტებით, უმჯობესია დაემატოს არა ასისტენტ პროფესორი არამედ ასოცირებული პროფესორი, ვინაიდან ასოცირებული პროფესორს შესაძლებლობა ექნება უხელმძღვანელოს რამდენიმე მიმართულებას ფარმაციის კუთხით, მაშინ როდესაც ასისტენტ პროფესორი გარკვეულწილად ორიენტირებული იქნება მხოლოდ ერთ მიმართულებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა თუ როგორი იყო საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციის შინაარსი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ რეკომენდაცია ითვალისწინებდა ფარმაციის მიმართულებით აფილირებული პროფესორების, აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან, აკადემიურ პერსონალად ასევე მოიაზრება ასისტენტ-პროფესორიც, დაწესებულებას ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიმართულებით გადადგმული აქვს ნაბიჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსებში ლიტერატურასთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოიფხვრა ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ. აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას აკადემიური პერსონალის საკმარისი რაოდენობა აქვს. დაწესებულებამ ჩათვალა რომ ამ ეტაპზე ასისტენტ-პროფესორი საკმარისი იქნებოდა. გარდა ამისა, ასისტენტ-პროფესორს შეუძლია გახდეს ასოცირებული პროფესორი. ეს უკავშირდება საათების რაოდენობას, შესაძლოა ახალი ასოცირებული პროფესორის მიღების შემდეგ მას არ ჰქონდეს საკმარისი საათები, რომ სრული დატვირთვით მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში. თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაწესებულებას, საკმარისია თუ არა მხოლოდ ასისტენტ-პროფესორის დამატება. დაწესებულების განმარტებით, მიმდინარედ ყველა პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, მიუხედავად ამისა დაწესებულება ცდილობს მოიზიდოს ახალი კადრები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი კადრების მოზიდვას პროგრამის მდგრადობისთვის. ექსპერტის განმარტებით, მის მიერ გათვალისწინებულია არსებული პრობლემა, ვინაიდან ხშირია რეგიონებში საკადრო რესურსის პრობლემა. რადგანაც ასისტენტ-პროფესორი ერთ კონკრეტულ დარგშია კვალიფიციური, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ასოცირებული პროფესორი. თუ ადგილობრივი ასისტენტ-პროფესორი მიაღწევს ასოცირებას, ეს იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი პროგრამის მდგრადობისთვისაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს პოზიცია არ დაუფიქსირებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:47
დასრულების დრო: 15:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - პროფესიული და უწყვეტი განათლება

1. **საფეხური** - მაგისტრატურა
2. **სწავლების ენა** - ქართული

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - განათლების მეცნიერების მაგისტრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0111 განათლების მეცნიერება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ, ერმილე მესხიამ და თამარ სირაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისიპოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, ქეთევან აფთარაშვილმა ისაუბრა ,,პროფესიული და უწყვეტი განათლების'' საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული რეკომენდაციების შესახებ:
1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურების მეტი გამჭვირვალობისთვის გადაიხედოს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ინსტრუქცია;
2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულ იქნას და დაიგეგმოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
3. გაძლიერდეს წახალისების ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების კვლევით აქტივობებში მაქსიმალურ ჩართულობა;
4. შეფასების ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები ყველა სასწავლო კურსისთვის;
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით და გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კავშირები სტუდენტთა გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში ჩასართავად.

ექსპერტმა აღნიშნა რომ ყველა რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს პოზიცია არ დაუფიქსირებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:57
დასრულების დრო: 16:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

8. მერვესაკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კომპიუტერული მცნიერება

1. **საფეხური** - მაგისტრატურა
2. **სწავლების ენა** - ქართული
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - განათლების მეცნიერების მაგისტრი
4. **დეტალური სფეროს კოდი -** 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა კი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მერვე საკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციის ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, მიხეილ რუხაიამ ისაუბრა 2022 წლის რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესახებ:
1. დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან.
2. საგნებში „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ დაემატოს კალკულუსისა და წრფივი ალგებრის ის თემები, რომლებიც აუცილებელია კურსის ათვისებისთვის, ან შესაბამისი თემები დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ დანიშნულ მისაღებ გამოცდაზე.
3. არჩევითი საგანი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ გახდეს სავალდებულო, ან დაკორექტირდეს პროგრამის ბოლო შედეგი.
4. პროგრამას დაემატოს თეორიული კომპიუტერული მეცნიერების კურსი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული და გამოთვლითი ლოგიკის, გამოთვლადობის და სირთულის თეორიების, და სხვა საკითხებს.
5. პროგრამას დაემატოს საგნები „მანქანური სწავლება“ და „კომპილატორები“.
6. დაკორექტირდეს საგნის „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ სილაბუსი, სადაც ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან ერთად, ასევე აუცილებელია დაიფაროს ინფორმაციის მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თემები. Windows Defender-ის თემატიკა გაერთაინდეს ანტივირუსულ საშუალებებთან.
7. დაკორექტირდეს საგნის „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ სილაბუსი და მასში შევიდეს დარგის სხვადასხვა აქტუალური საკითხი.

აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია და რჩევა სრულად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. ექსპერტმა მადლობა გადაუხადა დაწესებულებას კოლეგიალობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ექსპერტს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად გადაიდგა ნაბიჯები წინ პროგრამის განვითარებისთვის. დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული რეკომენდაციები და რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს პოზიცია არ დაუფიქსირებია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 16:15

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:20 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ღაღანიძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ეროვნული სააგენტო
შეფასებისა და
აღიარებისა